ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 01

ქ. თბილისი «03» «01» 2011 წ.

I. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, **საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი** (შემდგომში – შემსყიდველი ორგანიზაცია), წარმოდგენილი მისი დირექტორის, **დავით კერესელიძის** სახით

და

მეორეს მხრივ, **შ.პ.ს. "ინფოსერვისი"** (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, **ზურაბ თეთრაძის** სახით

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით,

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

II. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1. მიმწოდებელი გადასცემს შემსყიდველ ორგანიზაციას საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საინფორმაციო-საძიებო სისტემას - "კოდექსი-ოფისი 2007 R2" (შემდგომში "კოდექსი-ოფისი"). "კოდექს-ოფისი" მუშაობს ოპერაციულ სისტემებში - MS-WINDOWS 2000/XP/Vista და შედგება სამი პროგრამისგან:
   ა) "კოდექსი 2007 R2";
   ბ) "კოდექსი 2007 R2 - კოდიფიცირებული";
   გ) "კოდექსი 2007 R2 - საერთაშორისო ხელშეკრულებები".
2. "კოდექსი-ოფისი" მოიცავს 2011 წლის 3 იანვრამდე მიღებულ და მოქმედ:
   - საქართველოს კონსტიტუციას;
   - საქართველოს პარლამენტის კანონებს და დადგენილებებს;
   - საქართველოს პრეზიდენტის (პარლამენტის თავმჯდომარე-სახელმწიფო მეთაურის) ბრძანებულებებს და განკარგულებებს;
   - საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების განჩინებებს, გადაწყვეტილებებსა და პლენუმის დადგენილებებს;
   - საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის (მინისტრთა საბჭოს, მინისტრთა კაბინეტის) ძირითად დადგენილებებს;
   - საქართველოს ეროვნული ბანკის, საგადასახადო სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ 1993 წლის 1 იანვრიდან მიღებულ ძირითად კანონქვემდებარე და ნორმატიულ აქტებს (დადგენილებები, ინსტრუქციები, დებულებები, მითითებები, წერილები, და ა.შ.);
   - ქ. თბილისის საკრებულოსა და მერიის საქალაქო კოლეგიის გადაწყვეტილებებს, აგრეთვე მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილებებს;
   - სამინისტროების, კონტროლის პალატის, გენერალური პროკურატურის სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურების (დეპარტამენტები, კომისიები, სააგენტოები და სხვა) მრავალ დოკუმენტს.
3. "კოდექსი 2007 R2 - კოდიფიცირებული" მოიცავს 2011 წლის 3 იანვრამდე მიღებულ და მოქმედ და კოდიფიცირებულ საქართველოს ყველა კანონსა და კოდექსს კოდიფიცირებულ მდგომარეობაში და აგრეთვე, კოდიფიცირებული დოკუმენტების ისტორიას 2005 წლის მაისიდან დღემდე;
4. "კოდექსი 2007 R2 - საერთაშორისო ხელშეკრულებები" მოიცავს 2011 წლის 3 იანვრამდე მიღებულ საქართველოს მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს, ოქმებს, დეკლარაციებს, მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, საერთაშორისო კონვენციებს;
5. ინსტალაციის მომენტში "კოდექს-ოფისი"-ს ინფორმაციული ბაზების მოცულობა შეადგენს **56292** დოკუმენტს **(49897+4620+1775=56292)**, დაახლოებით **900** მეგაბაიტ ინფორმაციას.

III. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ანგარიშსწორებისა და ხელშეკრულების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

1. მონაცემთა ბაზების ყოველთვიური ინფორმაციული განახლება ერთ კომპიუტერზე (სერვერზე) ანაზღაურდება თვეში **40 (ორმოცი)** ლარის ოდენობით, ხოლო ყოველ სხვა ერთ დამატებით კომპიუტერზე "კოდექს-ოფისი"-ს დაყენების ან/და ინფორმაციული განახლების შემთხვევაში, აღნიშნულ თანხას თვეში დაემატება **10 (ათი)** ლარი. ხელშეკრულების ხელმოწერის დღისათვის აღნიშნული დამატებითი კომპიუტერების რაოდენობა სულ შეადგენს **34-ს.** აღნიშნული კომპიუტერების რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად.
2. სულ ხელშეკრულების ყოველთვიური ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს **380 (სამასოთხმოცი)** ლარს.
3. სულ ხელშეკრულების ჯამური ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს **4560 (ოთხიათასხუთასსამოცი)** ლარს.
4. მიწოდებული მომსახურების ღირებულების გადახდა მოხდება ყოველთვიურად, წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით.
5. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში III თავის პირველ და მეორე პუნქტებში აღნიშნული თანხის/თანხების ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოახდინოს ნაწილობრივ მიწოდებული მომსახურების შესაბამისად.
6. მომსახურების მიწოდება დასტურდება ორივე მხარის ან მათ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით, რომელიც წარმოადგენს მხარეთა შორის ფინანსური ანგარიშგების დაწყების საფუძველს.
7. შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე ხელმოწერის უფლება მიეცეს შემსყიდველი ორგანიზაციის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსს.
8. მომსახურების მიწოდების თარიღად მიიჩნევა მიღება-ჩაბარების აქტზე ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მხარეთა ან მათ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღე.

IV. მხარეთა პასუხისმგებლობა

1. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს "კოდექს-ოფისი"-ს ინფორმაციული განახლება არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, ახალი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მიღების შესაბამისად.
2. "კოდექს-ოფისი"-ს ინფორმაციული განახლება შემსყიდველი ორგანიზაციის სურვილის თანახმად მოხდება ელექტრონული ფოსტის გამოყენებით.
3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია დაიცვას საინფორმაციო-საძიებო სისტემა "კოდექს-ოფისი" არასანქცირებული გამრავლებისაგან.
4. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მომსახურების ღირებულება გადაიხადოს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში.

V. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია ხელშეკრულების ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან.
2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი ორგანიზაცია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
3. გამოვლენილი ნაკლის ან დეფექტის აღმოფხვრასთან, ასევე ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

VI. ფორს-მაჟორული სიტუაციები

1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.
2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელსაც აქვს წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და არ არის დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ფორს-მაჟორი შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური უბედურებებით და სხვა გარემოებებით.
3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

VII. სხვა პირობები

1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო სახაზინო სამსახურის მიერ რეგისტრაციაში გატარების დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ თავისი მოვალეობების სრულ შესრულებამდე.
2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
3. მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
4. ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
5. ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს.
6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო მესამე ეგზემპლარი – მიმწოდებელს.

VIII. მხარეთა რეკვიზიტები

შ.პ.ს. "ინფოსერვისი"

მისამართი: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2
ტელ: 95-10-36
საიდენტიფიკაციო კოდი 200001229
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი "რესპუბლიკა"-ს ბაგებრის ფილიალი
საბანკო კოდი: 220101759
ანგარიშსწორების ანგარიში: 600003608002037

გენერალური დირექტორი ---------- /ზურაბ თეთრაძე/

"02" 01 2011 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. №1
ტელეფონი: (+995 32) 365685
საიდენტიფიკაციო კოდი №202330566
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, საბანკო კოდი 220101222, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900

დირექტორი ---------- /დავით კერესელიძე/

"02" 01 2011 წ.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა 01

2011 წლის 03 იანვრის №01 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებაში შესყიდვის ობიექტის გაზრდის შესახებ

ქ.თბილისი 01 ივნისი 2011 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში შემსყიდველი ორგანიზაცია), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის დავით კერესელიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს "ინფოსერვისი" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ თეთრაძის სახით ვთანხმდებით შემდეგზე:

1) 2011 წლის 03 იანვრის №01 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

1.1) 2011 წლის 1 ივნისიდან, ხელშეკრულების III მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომპიუტერების რაოდენობა 34 ერთეულის ნაცვლად განისაზღვროს 40 ერთეულით.

1.2) 2011 წლის 1 ივნისიდან, ხელშეკრულების III მუხლის მე- 2 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ყოველთვიური ღირებულება დღგ-ს ჩათვლით განისაზღვროს 440 (ოთხასორმოცი) ლარით.

1.3) ხელშეკრულების III მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულება დღგ-ს ჩათვლით განისაზღვროს 4980 (ოთხიათას ცხრაასოთხმოცი) ლარით.

2. შეთანხმება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, თითო ეგზემპლიარი თითოეული მხარისათვის და ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ე ბ ი:

მიმწოდებლის მხრიდან:
შპს "ინფოსერვისი"

---------- ზ.ა
ზურაბ თეთრაძე

95-10-36

დირექტორი

შემსყიდველის მხრიდან:
სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრი

---------- ზ.ა
დავით კერესელიძე

დირექტორის მოადგილე